<u>დანართი 1- ტექნიკური დავალება</u>

პროგრამის სახელწოდება: ,,ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“
პროექტის N: 17.2129.9-001.00
მომსახურების შესრულების ვადა: 01.02.2017.-12.03.2020

სატენდერო განაცხადი
,,ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების“ პროგრამის დასრულების შემაჯამებელი კონფერენციის ორგანიზება

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) რეგიონული პროგრამის ,,ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ (შემდგომში - სამართლის პროგრამა) ოფისი, პრეტენდენტებს იწვევს მონაწილეობის მისაღებად ტენდერში, შემდეგი პირობებით:

I. ზოგადი მიმოხილვა
გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, სამართლის რეგიონული პროგრამა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში სამართლის და მართლმსაჯულების რეფორმების განხორციელებას უწყობს ხელს და ძირითად აქცენტებს კონსტიტუციურ, კერძო და ადმინისტრაციულ, ასევე ეკონომიკურ სამართალზე აკეთებს. პროგრამის ძირითადი მიმართულებები მოიცავს საკანონმდებლო და სტრატეგიული პროცესების, სამართლებრივი სახელმწიფოს დიალოგის, ინტეგრირებული იურიდიული განათლების ხელშეწყობას.

27 წლიანი მუშაობის შემდეგ 2020 წლის მარტში სამართლის პროგრამა ასრულებს მოღვაწეობას. აღნიშნულის აღსანიშნავად დაგეგმილია დასკვნითი კონფერენციის მოწყობა, რომელშიც სამი ქვეყნის - საქართველო, სომხეთი აზერბაიჯანი, სამართლის პროგრამის თანამშრომლები, მათი პოლიტიკური პარტნიორები (სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროები, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების, საკანონმდებლო ორგანოები), საგანმანათლებლო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას.

II. ტენდერის შინაარსი
სამართლის პროგრამის დასრულება უნდა აღინიშნოს დასკვნით კონფერენციაზე, რომლის მიზანია მოწვეულ სტუმრებს მოუთხროს განვლილი 27 წლიანი საქმიანობის, ასევე

სამართლისა და მართლმსაჯულების დარგში მიღწეული წარმატებების შესახებ. საქმიანობის 27 წლიანი ციკლი უნდა მოიცავდეს სამივე ქვეყნას - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. ამ მიზნით ტენდერში მონაწილე სუბიექტებს ევალებათ:

1. დასკვნითი კონფერენციის მთავარი ვიზუალის (key visual) შექმნა;
2. ვიდეო რგოლის დამზადება;
3. საკონფერენციო დარბაზის, სცენისა და ტრიბუნის მოწყობა/გაფორმება;
4. საგამოფენო სივრცის მოწყობა (წიგნებისა და ფოტოების განლაგება);
5. კონფერენციის დღეს სტუმრების მიღება და რეგისტრაცია;
6. ფოტო და ვიდეო გადაღების უზრუნველყოფა;
7. დასკვნითი კონფერენციის მედიაში (ინტერნეტ/ბეჭდურ/სატელევიზიო) გაშუქების უზრუნველყოფა.

III ობიექტური და მოსალოდნელი მიწოდება

1. დასკვნითი კონფერენციის მთავარი ვიზუალის (key visual) შექმნა

ტენდერში გამარჯვებულს ევალება:

ა) სამართლის პროგრამასთან მჭიდრო კოორდინაციით შექმნას სამართლის რეგიონული პროგრამის დასკვნითი კონფერენციის ვიზუალი, რომელშიც:

ა.ა) უნდა აისახოს რეგიონული პროგრამის 27 წლიანი (1992-2019) მოღვაწეობა;

ა.ბ) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ), როგორც დამკვეთის როლი;

ა.გ) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), როგორც პროგრამის განმახორციელებლის როლი;

ა.დ) სამართლის პროგრამაში გახორციელებაში სამი ქვეყნის - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, როლი;

ა.ე) სამართლის პროგრამის მთავარი მიზანი: სამართლისა და მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა.

შენიშნა: ვიზუალში გამოყენებული უნდა იყოს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) არსებული ლოგო.

ბ) სამართლის პროგრამასთან მჭიდრო კოორდინაციით დაამზადოს და წარმოადგინოს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისი ვუზუალით ნიშანდებული შემდეგი ატრიბუტები:

- ბანერი (ერთი ცალი);
- ჩანთა (120 ცალი);
- კალამი (120 ცალი);
- ე. წ. ბეიჯი, რომელზეც ამავდროულად დატანილი იქნება კონფერენციის დღის წესრიგი (120 ცალი);
- მეხსიერების მატარებელი (USB, 120 ცალი);
- მაგიდის კალენდარი (120 ცალი);

2. ვიდეო რგოლის დამზადება

ტენდერის გამარჯვებულს ევალება:

ა) სამართლის პროგრამასთან მჭიდრო კოორდინაციით შექმნას საინფორმაციო ხასიათის ვიდეო რგოლის სცენარი;

ბ) დაამზადოს საინფორმაციო-სარეკლამო ხასიათის ვიდეო რგოლი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შემდეგი პარამეტრები:

ბ.ა) ხანგძლივობა: 4-5 წუთი

გ) ვიდეო რგოლი ასევე უნდა მოიცავდეს:

გ.ა) ვიდეო- და ფოტომასალას სამართლის პროგრამის მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრებიდან;

გ.ბ) 5-7 მოკლე ინტერვიუს (რამდენიმე წამიანი, მხოლოდ პასუხები ვიდეო რგოლის შინაარსიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე);

გ.გ) სუბტიტრებს ინგლისურ ენაზე;

გ.დ) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხედების ფოტო და ვიდეო მასალას.

3. საკონფერენციო დარბაზის, სცენისა და ტრიბუნის მოწყობა/გაფორმება

ტენდერის გამარჯვებულს ევალება:

ა) სამართლის პროგრამასთან მჭიდრო კოორდინაციით წარმოადგინოს საკონფერენციო დარბაზის, სცენის და ტრიბუნის მოწყობის აღწერილობითი და/ან გრაფიკული პროექტი;

ბ) წარმოადგინოს გაფორმებისთვის საჭირო შესაძლო ატრიბუტების ჩამონათვალი (ყვავილი/მცენარე/განათება და სხვა);

გ) დასკვნითი კონფერენციის დღეს, ამ პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უზრუნველყოს საკონფერენციო დარბაზის, სცენის და ტრიბუნის გაფორმება წინასწარ შერჩეული ატრიბუტებითა და ფორმით.

4. საგამოფენო სივრცის მოწყობა: წიგნებისა და ფოტოების განლაგება

ტენდერის გამარჯვებულს ევალება:

ა) სამართლის პროგრამასთან მჭიდრო კოორდინაციით წარმოადგინოს საგამოფენო სივრცის მოწყობის აღწერილობითი და/ან გრაფიკული პროექტი, წიგნების/ფოტოების განლაგების ფორმების (ციფრული/მატერიალური) მითითებით;

ბ) დასკვნითი კონფერენციის დღეს, ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოს საგამოფენო სივრცის მოწყობა წინასწარ შერჩეული ატრიბუტებითა და ფორმით.

5. კონფერენციის დღეს სტუმრების მიღება და რეგისტრაცია

ტენდერის გამარჯვებულს ევალება:

ა) დასკვნითი კონფერენციის დღეს ერთი თანამშრომლის გამოყოფა, რომელიც:

ა.ა) უზრუნველყოფს სტუმრების რეგისტრაციას;

ა.ბ) სტუმრების ინფორმირებას კონფერენციის დღის წესრიგთან დაკავშირებით;

ა.გ) საჭიროების შემთხვევაში, სტუმრების დასკვნითი კონფერენციის დარბაზამდე / საგამოფენო სივრცემდე მიცილებას.

6. ფოტო და ვიდეო გადაღების უზრუნველყოფა

ტენდერის გამარჯვებულს ევალება:

ა) სამართლის პროგრამასთან მჭიდრო კოორდინაციით, დასკვნითი კონფერენციისთვის ვიდეო-ოპერატორისა და ფოტოგრაფის უზრუნველყოფა;

ბ) ვიდეო-ოპერატორი ვალდებულია:

ბ.ა.) სრულად გადაიღოს დასკვნითი კონფერენცია;

ბ.ბ.) იმუშაოს სულ მცირე სამი ვიდეო-კამერით და უზრუნველყოს კონფერენციის ასახვა სამი სხვადასხვა ხედით;

ბ.გ) დამკვეთს გადასცეს დასკვნითი კონფერენციის ამსახველი ვიდეო-მასალის ციფრული ვერსია.

გ) ფოტოგრაფი ვალდებულია:

გ.ა.) აღბეჭდოს დასკვნითი კონფერენცია: სტუმრები, მომხსენებლები, სტუმრების რეგისტრაცია, საგამოფენო სივრცე, საღამოს მიღება;

ბ.დ) დამკვეთს გადასცეს დასკვნითი კონფერენციის ამსახველი ფოტო-მასალის ციფრული ვერსია, მათ შორის 30 დამუშავებული ფოტო.

7. დასკვნითი კონფერენციის მედიაში (ინტერნეტ/ბეჭდურ/სატელევიზიო) გაშუქების უზრუნველყოფა

ტენდერის გამარჯვებულს ევალება:

ა) სამართლის პროგრამასთან მჭიდრო კოორდინაციით, დასკვნითი კონფერენციის შესახებ სატელევიზიო სიუჟეტის მომზადება და ტრანსლირების უზრუნველყოფა. სიუჟეტში გათვალისწინებული იყოს შემდეგი პარამეტრები:

ა.ა) ხანგძლივობა: 5-7 წუთი

ა.ბ) სიუჟეტში უნდა აისახოს საქართველოსა და გერმანიას შორის სამართლის სფეროში 27 წლიანი თანამშრომლობის ისტორია;

ბ) სამართლის პროგრამასთან მჭიდრო კოორდინაციით, დასკვნითი კონფერენციის შესახებ ონლაინ გამოცემებისთვის სტატიის მომზადება და გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

8. დაინტერესებულმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) ამ განაცხადის II ნაწილის (ტენდერის შინაარსი) სტრუქტურის შესაბამისად, თითოეული განსახორციელებელი სამუშაოს:

ა.ა.) სამოქმედო გეგმა;

ა.ბ) შინაარსობრივი კონცეფცია;

ბ) მსგავსი პროექტის განხორციელების დამადასტურებელი პორტფოლიოებში;

გ) დასკვნითი კონფერენციის ორგანიზებაში ჩართული პირების:

გ.ა) მონაცემები: სახელი, გვარი, პროფესია, ელ. ფოსტის მისამართი;

გ.ბ) CV განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერით (დამკვეთი ორგანიზაცია, შესრულების ადგილი, თარიღი, ვადები);
დ) ტენდერის შინაარსის ერთი ან რამდენიმე საქმიანობის ქვეკონტრაქტორის მეშვეობით განხორციელების შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორების ჩამონათვალი თითოეული საქმიანობის მითითებით.

IV. დავალების შესრულების ხანგრძლივობა და შესრულების ადგილი

მომსახურების განხორციელების ადგილი არის საქართველო/სომხეთი/აზერბაიჯანი. მომსახურების შესრულების ადგილი არის საქართველო.

1. დასკვნითი კონფერენციის მთავარი ვიზუალი (key visual) და ამ განაცხადის III ნაწილის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ატრიბუტების ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს 11 თებერვლისა, ხოლო ატრიბუტები მატერიალური ფორმით, არა უგვიანეს 2 მარტისა.
2. ვიდეო რგოლის სამუშაო ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 24 თებერვლისა, ხოლო საბოლოო ვერსია - არაუგვიანეს 2 მარტისა.
3. საკონფერენციო დარბაზის, სცენისა და ტრიბუნის მოწყობის/გაფორმების აღწერილობითი და/ან გრაფიკული პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 14 თებერვლისა, ხოლო გაფორმება უნდა განხორციელდეს დასკვნითი კონფერენციის წინა დღეს;
4. საგამოფენო სივრცის მოწყობის აღწერილობითი და/ან გრაფიკული პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 14 თებერვლისა, ხოლო მოწყობა უნდა განხორციელდეს დასკვნითი კონფერენციის წინა დღეს;
5. სტუმრების მიღება და რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს უშუალოდ კონფერენციის დღეს.
6. ფოტო და ვიდეო გადაღების უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს უშუალოდ კონფერენციის დღეს.
7. დასკვნითი კონფერენციის შესახებ სიუჟეტი/სტატია უნდა მომზადდეს და გაიშვას არაუგვიანეს 8 მარტისა. ამასთან ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სიუჟეტისთვის / სტატიისთვის საჭირო მასალების შეგროვება უნდა უზრუნველყოს როგორც დასკვნით კონფერენციამდე, ისე უშუალოდ კონფერენციის მსვლელობისას.

V. დამკვეთის უფლებები

დამკვეთი უფლებამოსილია, სატენდერო დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, ტენდერში მონაწილე სუბიექტს შესთავაზოს ხელშეკრულების დადება ამ განაცხადის III ნაწილში (ტენდერის შინაარსი) ჩამოთვლილი სამუშაოების მხოლოდ ნაწილზე.

VI. დასაშვებობა და კვალიფიკაცია

ტენდერში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ადგილობრივ კომპანიებს.
შენიშვნა: ტერმინი ,,ადგილობრივი" გულისხმობს სუბიექტებს, რომლებიც:

ა) არიან რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
ბ) აქვთ საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) ლარის ანგარიში.

VII. განაცხადის შინაარსობრივი ნაწილის შეფასების კრიტერიუმები

N	შეფასების კრიტერიუმები	Weighting in %
1.	**პროექტის განმახორციელებლის გამოცდილება**	
1.1	მონაწილე სუბიექტის მიერ მგავსი პროექტის განხორციელების გამოცდილება	25,0%
1.2	პროექტის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ მგავსი პროექტის განხორციელების გამოცდილება	25,0%
	Subtotal for 1	50,0%
2.	**სატენდერო განაცხადის შინაარსობრივ ნაწილთან შესაბამისობა**	
2.1	პროექტის ცალკეული ეტაპის განხორციელების ვადები	10,0%
2.2	პროექტის შინაარსობივი კონცეფცია	40,0%
	Subtotal for 2	50,0%
	Grand Total	100,0%